დანართი N4

(შპს „ეი თი იუ ჯორჯიას“ მიერ მომხმარებელთა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაცია)

შპს „ეი თი იუ ჯორჯია“ მომხმარებელთა პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ-ისა და საქართველოს მთავრობის დადგენილება №455-ის მოთხოვნების საფუძველზე.

კომპანია უზრუნველყოფს, რომ პერსონალური მონაცემები დამუშავდეს კანონიერად, სამართლიანად და გამჭვირვალედ, მხოლოდ კონკრეტული და ლეგიტიმური მიზნებისთვის, იმ მოცულობით, რაც აუცილებელია შესაბამისი მიზნების მისაღწევად. კომპანია ასევე უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას შესაბამისი ტექნიკური და ორგანიზაციული უსაფრთხოების ზომების გამოყენებით.

1. მომხმარებელთა პერსონალური მონაცემები, რომელთა დამუშავებაც ხორციელდება

შესყიდვის ტრანზაქციის განხორციელების, მომხმარებლის იდენტიფიკაციისა და სსიპ შემოსავლების სამსახურისთვის კანონდებლობით განსაზღვრული ინფორმაციის მიწოდების მიზნით, კომპანია ამუშავებს მომხმარებელთა ჩასხდომის ბარათსა და სამგზავრო დოკუმენტში მითითებულ შემდეგ მონაცემებს:

- სახელი, გვარი;
- მოქალაქეობა;
- სამგზავრო დოკუმენტის (პასპორტის) საიდენტიფიკაციო მონაცემები;
- პირადი ნომერი;
- რეისის ნომერი;
- ფრენის მიმართულება;
- ფრენის თარიღი;
- შეძენილი საქონელი;

კომპანია ამუშავებს მხოლოდ იმ მონაცემებს, რომლებიც წარმოდგენილია მომხმარებლის მიერ და მხოლოდ იმ მოცულობით, რაც აუცილებელია მომსახურების

Public

გაწევის, ტრანზაქციის განხორციელებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებისთვის.

2. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნები

პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება შემდეგი მიზნებით:

- მომხმარებლის იდენტიფიკაცია და მონაცემის სსიპ შემოსავლების სამსახურისთვის გადაგზავნა;
- შესყიდვის ტრანზაქციის განხორციელება, რეგისტრაცია და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება;
- კომპანიის საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- კანონმდებლობით სავალდებულო, თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში რეალიზებულ საქონელზე ინფორმაციის შემოსავლების სამსახურისთვის მიწოდება;

3. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძველი

პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, კერძოდ, საქართველოს მთავრობის დადგენილება №455-ით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

4. პერსონალურ მონაცემთა შენახვის ვადა

პერსონალური მონაცემები ინახება **6 (ექვსი) თვის ვადით**, მხოლოდ იმ დროის განმავლობაში, რაც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნების მისაღწევად. შენახვის ვადის გასვლის შემდეგ, მომხმარებელთა პერსონალური მონაცემები იშლება ავტომატურად.

5. პერსონალური მონაცემების მესამე პირებისთვის გადაცემა

კომპანია მომხმარებელთა პერსონალურ მონაცემებს გადასცემს სსიპ შემოსავლების სამსახურს, საქართველოს მთავრობის დადგენილება №455-ის მოთხოვნების შესაბამისად; ასევე, კომპანიამ შესაძლოა აღნიშნული მონაცემები მესამე პირს

Public

გადასცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისთვის ან/და სახელმწიფო ორგანოების კანონიერ მოთხოვნაზე რეაგირებისთვის.

პერსონალური მონაცემების გადაცემა განხორციელდება მხოლოდ იმ მოცულობით, რაც აუცილებელია შესაბამისი სამართლებრივი ვალდებულების შესრულებისა და კონკრეტული მიზნისთვის. მონაცემთა გადაცემა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით და უსაფრთხო არხების გამოყენებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს პერსონალური მონაცემების დაცვა არაუფლებრივი წვდომის, გამჟღავნების ან დაკარგვისგან.

6. მომხმარებელთა უფლებები და პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოება

მომხმარებლებს, როგორც მონაცემთა სუბიექტებს, აქვთ უფლება:

- მიიღონ ინფორმაცია მათ შესახებ დამუშავებული პერსონალური მონაცემების შესახებ;
- მოითხოვონ პერსონალურ მონაცემებზე წვდომა;
- მოითხოვონ მონაცემების შესწორება, განახლება ან შევსება;
- მოითხოვონ მონაცემების წაშლა ან დამუშავების შეზღუდვა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში;
- გააპროტესტონ მონაცემთა დამუშავება, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში.

ამ უფლებების განხორციელების მიზნით მომხმარებლები მიმართავენ პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელ პირს, ქვემოთ მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე.

კომპანია უზრუნველყოფს შესაბამის ტექნიკურ და ორგანიზაციულ უსაფრთხოების ზომებს, რათა თავიდან იქნას აცილებული პერსონალური მონაცემების არაუფლებრივი წვდომა, უკანონო დამუშავება, დაკარგვა, განადგურება ან გამჟღავნება.

7. პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების ინციდენტის მართვა

Public

კომპანია იღებს შესაბამის ტექნიკურ და ორგანიზაციულ ზომებს პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების შესაძლო დარღვევის ან ინციდენტის შემთხვევაში კომპანია:

- უზრუნველყოფს ინციდენტის გამოვლენასა და შეფასებას;
- იღებს შესაბამის ზომებს მონაცემთა დაცვისა და რისკის შემცირების მიზნით;
- საჭიროების შემთხვევაში აცნობებს შესაბამის ზედამხედველ ორგანოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირი

სახელი, გვარი: გიორგი ჯავახიშვილი
ელ-ფოსტა: gdprgeorgia@atu.com.tr

Public

Annex N4

(Information on the Processing of Customers' Personal Data by LLC "ATU Georgia")

LLC ATU Georgia (Company) processes customers' personal data in accordance with the applicable legislation of Georgia, including the requirements of the Law of Georgia on Personal Data Protection and Resolution №455 of the Government of Georgia.

The Company ensures that personal data are processed lawfully, fairly, and transparently, only for specific and legitimate purposes, and to the extent necessary to achieve such purposes. The Company also ensures the protection of personal data through the use of appropriate technical and organizational security measures.

1. Personal Data of Customers Subject to Processing

For the purpose of carrying out, respective registration of the purchase transaction and transferring of mandatory data to the LEPL Revenue Service (RS) in accordance with legislation of Georgia, the Company processes the following data indicated on the customer's boarding pass and travel document:

• First name, last name;
• Citizenship;
• Identification data of the travel document (passport);
• Personal identification number;
• Flight number;
• Flight destination;
• Flight date;
Goods purchased.

The Company processes only the data provided by the customer and only to the extent necessary for the provision of services, execution of the transaction, and fulfillment of legal obligations.

2. Purposes of Personal Data Processing

Personal data are processed for the following purposes:

• Identification of the customer and transfer of respective data to RS;
• Execution and registration of the purchase transaction and maintenance of relevant documentation;
• Ensuring compliance with the applicable legislation;
• Fulfillment of obligations established by legislation on transfer of information on goods sold from the duty free unit to RS.

3. Legal Basis for Personal Data Processing

Public

Personal data are processed for the purpose of fulfilling obligations established under the legislation of Georgia, in particular in accordance with the requirements established by Resolution №455 of the Government of Georgia.

4. Retention Period of Personal Data

Personal data shall be retained for a period of **6 (six) months**, only for the time necessary to achieve the purposes of data processing. After the expiration of the retention period, customers' personal data will be automatically deleted.

5. Transfer of Personal Data to Third Parties

The Company transfers customers' personal data to the **LEPL Revenue Service** in accordance with the requirements of Resolution №455 of the Government of Georgia. In addition, the Company may transfer such data to a third party only if it is necessary for fulfilling obligations established by legislation and/or for responding to lawful requests of state authorities.

The transfer of personal data shall be carried out only to the extent necessary for fulfilling the relevant legal obligation and the specific purpose. Data transfer shall be conducted in accordance with the procedures established by legislation and through secure channels to ensure the protection of personal data from unauthorized access, disclosure, or loss.

6. Customers' Rights and Personal Data Security

Customers, as data subjects, have the right to:

• Obtain information about the personal data processed about them;
• Request access to their personal data;
• Request correction, updating, or completion of their data;
• Request deletion of data or restriction of processing in cases provided by law;
• Object to the processing of data where a relevant legal basis exists.

To exercise these rights, customers may contact the person responsible for personal data processing via the email address indicated below.

The Company ensures appropriate technical and organizational security measures to prevent unauthorized access, unlawful processing, loss, destruction, or disclosure of personal data.

7. Management of Personal Data Security Incidents

The Company implements appropriate technical and organizational measures to ensure the security of personal data.

In the event of a potential breach or incident related to personal data security, the Company:

Public

• Ensures the detection and assessment of the incident;
• Takes appropriate measures to protect data and mitigate risks;
• Notifies the relevant supervisory authority, if necessary, in accordance with the procedures established by legislation.

8. Person Responsible for Personal Data Processing

Name, Surname: Giorgi Javakhishvili
Email: gdprgeorgia@atu.com.tr

Public